საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №58/279-18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 12 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 თებერვლის №58/279-18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს 2018 წლის 05 ნოემბერს 15:00 საათზე ჩანიშნული იყო სასამართლო სხდომა. მხარე გამოცხადდა სხდომაზე დადგენილი წესით, თუმცა სხდომა გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით საქმის განხილვის გაჭიანურებას უწყობს ხელს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2014 წლის 18 აგვისტოს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხეების -- -- და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ და მოითხოვა -- -- 09.07.2014 წლის №-- დასკვნის ბათილად ცნობა, -- -- 17.07.2014 წლის №-- ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

-- -- სასამართლოს 2014 წლის 25 აგვისტოს განჩინებით -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში. -- -- სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2015 წლის 02 ოქტომბერს. -- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 თებერვლის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 17 ივლისის №-- ბრძანება -- -- დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და -- -- დათხოვნის თაობაზე და დაევალა -- -- საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 აპრილის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებაზე განხილულ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე 2017 წლის 11 აპრილს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 აპრილის განჩინებით კასატორის - -- -- შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერებისა და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 აპრილის განჩინებით -- -- შუამდგომლობა №--(2კ-16) ადმინისტრაციული საქმის განსახილველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.4. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №-- -- -- სააპელაციო საჩივრის გამო, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, შუამდგომლობა მოსამართლე -- -- აცილების შესახებ, დაკმაყოფილდა; საქმე №-- გადაეცა -- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა 2017 წლის 01 დეკემბერს.

2018 წლის 14 მარტს -- -- სასამართლოს 2018 წლის 20 მარტს დანიშნული სხდომის გადადების თაობაზე განცხადებით მიმართა -- --. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის საოქმო განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა და საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 01 მაისს.

2018 წლის 25 აპრილს -- სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით მიმართა მესამე პირმა -- --, ხოლო -- -- საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა 2018 წლის 30 აპრილს. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 01 მაისის საოქმო განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა და საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 05 ივნისს.

2018 წლის 04 ივნისსა და 05 ივნისს -- სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით მიმართა -- --. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 05 ივნისის საოქმო განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა და საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 09 ივლისს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №--, მესამე პირის - -- -- სასამართლო სხდომაზე მოწვევა და სააპელაციო საჩივრის ჩაბარება განხორციელდა

საჯარო შეტყობინების გზით. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.geocourts.ge); სხდომა დაინიშნა -- სააპელაციო სასამართლოში (მდებარე - --, -- -- ქ. №--) 2018 წლის 09 ივლისს 11:00 საათზე, დარბაზი №--.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №--, მესამე პირის - -- -- სასამართლო სხდომაზე მოწვევა და სააპელაციო საჩივრის ჩაბარება განხორციელდა საჯარო შეტყობინების გზით. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.geocourts.ge); სხდომა დაინიშნა -- სააპელაციო სასამართლოში (მდებარე - --, -- -- ქ. №--) 2018 წლის 04 სექტემბერს 17:00 საათზე, დარბაზი №--.

სხდომის მდივნის -- -- მიერ 2018 წლის 04 სექტემბერს შედგა ცნობა, რომლის თანახმადაც 2018 წლის 04 სექტემბერს 17:00 საათზე დანიშნული საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისათვის მესამე პირისათვის (-- --) კანონით დადგენილი წესით სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის გამო.

2018 წლის 09 სექტემბერსა და 30 სექტემბერს -- სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით მიმართა -- --. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 01 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მხარის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა. საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 05 ნოემბერს.

2018 წლის 05 ნოემბერს 15:00 საათზე -- სააპელაციო სასამართლოში სხდომის გამართვის თაობაზე უწყება მხარეებს გაეგზავნათ 2018 წლის 18 ოქტომბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს სხდომის მდივნის -- -- მიერ შედგენილი აქტის თანახმად, 2018 წლის 05 ნოემბერს 15:00 საათზე დანიშნული საქმის, აპელანტი - -- --, მოწინააღმდეგე მხარე - -- --, მესამე პირები - -- --, -- --, -- --, განხილვა არ შედგა საარჩევნო დავის განხილვის გამო.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №--, მესამე პირის - -- -- სასამართლო სხდომაზე მოწვევა და სააპელაციო საჩივრის ჩაბარება განხორციელდა საჯარო შეტყობინების გზით. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.geocourts.ge); სხდომა დაინიშნა -- სააპელაციო სასამართლოში (მდებარე - -- --, -- -- ქ. №--) 2018 წლის 03 დეკემბერს 12:00 საათზე, დარბაზი №--.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 03 დეკემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2015 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება.

2.5. არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- 2018 წელს განსახილველად ჰქონდა 339 ადმინისტრაციული სამართლის საქმე, საიდანაც განიხილა 244 საქმე (72%). ამასთან, განსახილველად ჰქონდა 103 კერძო საჩივარი, საიდანაც დაასრულა 90 (87%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 12 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული,

მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ ამავე ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ისე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოდან -- სააპელაციო სასამართლოში დაბრუნდა 2017 წლის 24 აპრილს. საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2017 წლის 01 დეკემბერს. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 03 დეკემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის განჩინება.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 01 დეკემბრიდან 2018 წლის 03 დეკემბრამდე სასამართლოს სხდომა მხარეთა, მათ შორის საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო 4-ჯერ, მოსამართლემ საჯარო შეტყობინებით მხარეებს სხდომის თაობაზე აცნობა 3-ჯერ, ერთ შემთხვევაში სხდომა გადაიდო უწყების მხარისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაუბარებლობის, ხოლო მეორე შემთხვევაში საარჩევნო დავების გამო.

ამდენად, განსახილველ საქმეზე სამართალწარმოება საქართველოს უზენაესი სასამართლოდან დაბრუნების შემდეგ მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 1 წელი და 1 დღე. შესაბამისად, საქმის განხილვის მაქსიმალური 5 თვიანი ვადა დაირღვა 7 თვით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მხარეთა მოქმედებები და ის გარემოება, რომ საჯარო შეტყობინებებით ხდებოდა უწყების ჩაბარება, რაც თავისმხრივ აჭიანურებდა საქმის განხილვას. აღსანიშნავია, რომ მართალია 2018 წლის 05 ნოემბერს ჩანიშნული სხდომის გადადების თაობაზე მხარეებს სხდომის ჩანიშვნამდე არ ეცნობათ, მაგრამ მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ სხდომის გადადება ემსახურებოდა საქმის განხილვის გაჭიანურებას ვერ იქნება გაზიარებული ვინაიდან 05 ნოემბრის სხდომა გადაიდო საარჩევნო დავების გამო 03 დეკემბერს. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თავად მხარე უწყობდა ხელს გაჭიანურებულიყო საქმის განხილვა, რასაც მის მიერ არაერთხელ საქმის განხილვის გადადების თაობაზე დაყენებული შუამდგომლობა ადასტურებს.

ამდენად, სტატისტიკური მონაცემების, მოსამართლის დატვირთულებისა და მხარეთა მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა (სამმა წევრმა მხარი დაუჭირა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებას)), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №58/279 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი